ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 41

"2" მარტი 2015 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე" ქვეპუნქტის, 108-ე მუხლის, „სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის 35-ე მუხლისა და სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 18 თებერვლის N.º 06/3114 წერილის შესაბამისად ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. თანხმობა მიეცეს სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული (უძრავი ქონება) არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების 12092450 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 1600 კვ.მ მიწის ნაკვეთის (მდებარე ქ. თბილისი, დაბა კოჯორში, საიდენტიფიკაციო კოდი 81.01.06.776) სახელმწიფო საკუთრებაში უსასყიდლოთ გადაცემაზე.

2. განკარგულება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი